



**საკანონმდებლო  
სამსახური**  
ადმინისტრაციულ საქმეზე

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

**კასატორი:** *შენიშვნა-1*

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"	1. თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №39ბ. IV
2. ზაზა წიკლაური	
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-2</i>
ალტერნატიული მისამართი <i>შენიშვნა-3</i>	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
მობილური	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა

**კასატორის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-4*

1. ნინო გუჯარაიძე	1. თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №39ბ. IV
2. ირმა მახათაძე	სართული; 2. თბილისი, კოსტავას ქ. №76ა. ბ.6;
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
მობილური	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა
	ngujaraidze@greenalt.org
	irma_maxatadze@yahoo.com

**მოწინააღმდეგე მხარე:** *შენიშვნა-5*

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	დაბა სტეფანწმინდა, ალ.ყაზბეგის ქ.№2
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) <i>შენიშვნა-6</i>
ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.
მობილური	ფაქსი
	ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
---------------	-------------	----------	-------------------

*შენიშვნა-8*

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: [forms@hcoj.gov.ge](mailto:forms@hcoj.gov.ge) სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [www.hcoj.gov.ge](http://www.hcoj.gov.ge)

## განსახილველი გადაწყვეტილება

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება:	თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
მომხსენებელი მოსამართლე:	გიორგი გოგიაშვილი
საქმის ნომერი:	33/803-17
მიღების თარიღი:	2018 წლის 30 მაისი

### გადაწყვეტილებას განსახილველად:

სრულად	<input checked="" type="checkbox"/>
ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>
რომელ ნაწილში?	

შენიშვნა-10

### საკასაციო მოთხოვნა (განაცხადი):

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს და ზაზა წიკლაურის სარჩელი სრულად.

შენიშვნა-11

## კასაციის საფუძვლები (მიზეზები)

### გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- |                                     |  |
|-------------------------------------|--|
| <input type="checkbox"/>            | საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;  |
| <input type="checkbox"/>            | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;  |
| <input type="checkbox"/>            | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;  |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;   |
| <input checked="" type="checkbox"/> | გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;   |
| <input type="checkbox"/>            | გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;  |
| <input type="checkbox"/>            | საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.   |

დასაბუთება: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" და ზაზა წიკლაურის სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით, არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია მაშინ, როდესაც სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ქმნიდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მატერიალურ და პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების თანახმად მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

### დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააკველიანი სასამართლოს გადაწყვეტილება

შენიშვნა-13 შენიშვნა-14

წინამდებარე საკასაციო საჩივარი დასაშვებია სსკ-ის 34.3 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ამავე მუხლი "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ამავე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კერძოდ:

სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის "ა", "ბ", "გ" და 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა

კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას . . . ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. საქმის სასამართლო განხილვით დასტურდება, რომ სასამართლო შემადგენლობამ არ შეისწავლა და არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები სრულყოფილად. აქედან გამომდინარე, არასწორად იმსჯელა დავის საგანთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტი და მისი წარმომადგენლები საქმის განხილვისას ორივე ინსტანციის სასამართლოში დასაბუთებულად მიუთითებდნენ იმ ფაქტობრივი გარემოებების და შესაბამისი მტკიცებულებების შესახებ, რომლებიც უცილობლად განაპირობდნენ სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" და ზაზა წიკლაურის სააპელაციო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი თვალსაზრისით არ შეუმოწმებია და არის სრულიად დაუსაბუთებელი მიგვაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უხეშად დაარღვია ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტის მითითებული ნორმის მოთხოვნები.

გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3. მუხლის „გ“ ქვეპუნქტით ხელმძღვანელობით სტანდარტთან დაკავშირებით (საქმე №ბს-52-52(კ-08)), (№ბს-303-299(კ-14). კერძოდ: „სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტის მიხედვით: სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც უცვლელად რჩება გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მასზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოების გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება.“

ამდენად, საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სასამართლომ თითოეული საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, 105-ე მუხლის მეორე ნაწილი, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მითითებული საპროცესო დარღვევების გამო ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენების შედეგად საქმეზე გამოტანილია არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება. სასამართლომ არ შეამოწმა და არ შეაფასა სარჩელში, საპაექრო სიტყვაში, სააპელაციო საჩივარში, ახსნა-განმარტებებში წარმოდგენილი საფუძვლიანი პრეტენზიები მოთხოვნის დამფუძნებელ, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ:

მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სარჩელი ორი ელემენტისგან შედგება: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი, ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. კრიტერიუმში, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სამართლებრივი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი - მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დამტკიცების მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება,



რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზემოაღნიშნული სტანდარტისგან განსხვავებულ სტანდარტს ადგენს სასკ-ის 17.2 მუხლი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში.

სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში არასწორად განმარტა კანონი - სასკ-ის მე-17.2 მუხლი, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმებისას, მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმით მტკიცების ტვირთი უპირობოდ ეკისრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, მიიჩნია, რომ მაინც მოსარჩელეს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს სარჩელი ანუ შესაბამისი მტკიცებულებებით დაადასტუროს ის გარემოებები, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება. სასკ-ის 17.2 მუხლის ამგვარი განმარტება ეწინააღმდეგება დასახელებული ნორმით დადგენილ მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს, რაც იმთავითვე გამორიცხავს მოსარჩელის ვალდებულებას შესაბამისი მტკიცებულებებით დაადასტუროს/დაამტკიცოს გარემოებები, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება. სააპელაციო პალატის მიერ სასკ-ის 17.2 მუხლის ამგვარი განმარტება ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება არა ადმინისტრაციულ ორგანოს, არამედ მოსარჩელეებს, რაც ეწინააღმდეგება სასკ-ის 17.2 მუხლის შინაარსს.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლები და საერთოდ არ დაადგინა ან/და არასწორად დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმეზე კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანა. საგულისხმოა, რომ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სადავო გარემოებების დაუდგენლობის შესახებ დასაბუთებული პრეტენზიები წარმოდგენილია სააპელაციო საჩივარში. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს იურიდიულად არგუმენტირებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასების, მათი გაზიარების ან უარყოფის, ან/და გაქარწყლების თაობაზე სახეზეა სასკ-ის 390.2 მუხლის "გ" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრული სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციისა და კომპეტენციის საწინააღმდეგოდ სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე მართლმსაჯულების ფორმალურად განხორციელების შემთხვევა. აღნიშნული ცალსახად დასტურდება წინამდებარე საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი კონკრეტული პრეტენზიებით ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის სრულყოფილად შესწავლისა და საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით სწორად შეფასების შემთხვევაში საქმეზე გამოტანილი იქნებოდა არსებითად სხვაგვარი გადაწყვეტილება. კერძოდ:

არც პირველი ინსტანციის სასამართლომ და არც სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ დაადგინა ან/და არასწორად დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სადავო ფაქტობრივი გარემოებები: - სადავო აქტით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი"-ს მშენებლობა ხორციელდება, თუ რეკონსტრუქცია; რეკონსტრუქციის შემთხვევაში რა ხაზის რეკონსტრუქციის უფლება იქნა მინიჭებული სადავო აქტით; რეკონსტრუქციის განხორციელების პირობებში რატომ გახდა საჭირო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა; რას გულისხმობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის ჩანაწერი - 220 კილოვოლტიან გაბარიტებში და რა მიზანს ემსახურება სადავო აქტში ამ ჩანაწერის არსებობა; ბუნდოვანია, დამაჯერებლობას და სარწმუნოობას მოკლებული სასამართლოს დასკვნა რეკონსტრუქციის შემდეგ 110 კილოვოლტიანი ეგხ-ს (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) სადენების და საყრდენების 220 კილოვოლტიანი ეგხ-სთვის საჭირო სადენებით და საყრდენებით შეცვლის პირობებში აღნიშნული ეგხ ფუნქციურად რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს კვლავ 110 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზს, ასევე გაუგებარია, სადავო ეგხ-ს მარშრუტის არარსებობის პირობებში, რამდენად არის კანონშესაბამისი ეგხ-ს რეკონსტრუქციის შესახებ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ზემოაღნიშნული სადავო ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობის პირობებში პირველი ინსტანციის სასამართლოს და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ მოსარჩელეს ეკისრება სარჩელის დასაბუთების, კერძოდ რეკონსტრუქციის შემდეგ "ღარიალის" მეორე კატეგორიის ეგხ-დ გადაკეთების შესახებ მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება იმ პირობებში, როდესაც მხარის წარმომადგენლების მიერ საქმეზე წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულებების კონკრეტული საქმის ფურცლებზე მითითებით მტკიცებულებების გამოკვლევის სტადიაზე (იხ.16.05.2018 წლის სასამართლო სხდომის ოქმი, გზშ-ს ანგარიშის გამოკვლევა) დადასტურებული იქნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ფაქტობრივად განხორციელდა 220კილოვოლტიანი ეგხ-ს ხაზის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს მეორე კატეგორიის და არა მესამე კატეგორიის ეგხ-ს თანახმად "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 15.11 მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა საფუძველს მოკლებულია, არასწორია და ეწინააღმდეგება სსსკ-ის 17.2 მუხლით რეგლამენტირებულ მტკიცების ტვირთის სტანდარტს..

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 37.1 მუხლი, სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 248-ე მუხლი. სსსკ-ის 377.1 მუხლის თანახმად სააპელაციო პალატას ეკისრება ვალდებულება შეამოწმოს სააპელაციო საჩივარი ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, მიუხედავად ამისა პალატამ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიის შესახებ, რომ პაექრობის ეტაპზე მოსარჩელეს უფლება ჰქონდა სადავოდ გაეხადა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის №161 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ, ვინაიდან სარჩელით მოთხოვნილია მშენებლობის ნებართვის ბათილობა, ხოლო "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 37.1 მუხლით დადგენილია, რომ მშენებლობის ნებართვა გაცემა სამ სტადიად აღნიშნულიდან გამომდინარე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის №161 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ არის მშენებლობის ნებართვის შემადგენელი ნაწილი, შესაბამისად აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტის ბათილობის მოთხოვნა განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს სარჩელის დაზუსტებას და არა გაზრდას (იხ. 2017 წლის 7 მარტის სასამართლო სხდომის ოქმი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საკასაციო საჩივარში ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რის გამოც გამოტანილია არასწორი, უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც უნდა გაუქმდეს.

# პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-15    შენიშვნა-16

## 1. პრეტენზია

სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა მესამე პირის, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას" წარმოდგენილ 12.07.16 წლის №3469 და 17.07.16 წლის №3469 წერილებზე დაყრდნობით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სს "ენერგო-პრო ჯორჯია" არ ფლობს 220 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს და ქვესადგურებს და რომ სს "დარიალი ენერჯი" ფლობს 110 კვ. სიმძლავრის ინფრასტრუქტურას ქვესადგურის სახით, ასევე არასწორად დაადგინა, რომ 110 კილოვოლტიანი სარეაბილიტაციო ეგზ რეკონსტრუქციის შემდეგაც იგივე ფუნქციის მატარებელი დარჩება, კერძოდ, იგი უზრუნველყოფს 110 კვ. ენერჯის გატარებას, რასაც იგი რეკონსტრუქციამდე ახორციელებდა.

დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ არასწორად გაიზიარა მესამე პირის, სს "სახელმწიფო ელექტროსისტემას" წარმოდგენილ 12.07.16 წლის №3469 და 17.07.16 წლის №3469 წერილებზე დაყრდნობით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სს "ენერგო-პრო ჯორჯია" არ ფლობს 220 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს და ქვესადგურებს და რომ სს "დარიალი ენერჯი" ფლობს 110 კვ. სიმძლავრის ინფრასტრუქტურას ქვესადგურის სახით და მხოლოდ მესამე პირის, სს "ელექტროსისტემას" წარმომადგენლის განმარტებაზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა, რომ 110 კილოვოლტიანი სარეაბილიტაციო ეგზ რეკონსტრუქციის შემდეგაც იგივე ფუნქციის მატარებელი დარჩება, კერძოდ, იგი უზრუნველყოფს 110 კვ ენერჯის გატარებას, რასაც იგი რეკონსტრუქციამდე ახორციელებდა.

ელექტროგადამცემი ხაზები წარმოადგენს ხაზობრივ ნაგებობებს, შესაბამისად, როგორც ელექტროგადამცემი ხაზები, ასევე ქვესადგურები წარმოადგენს უძრავ ქონებას, რის გამოც როგორც ელექტროგადამცემი ხაზების, ისე ქვესადგურების საკუთრების, სიმძლავრის შესახებ ფაქტობრივი გარემოება სსსკ-ის 102.3 მუხლის თანახმად უნდა დადასტურდეს არა წერილებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, რომელიც საქმეზე არ არის წარმოდგენილი.

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული და მოპასუხე და მესამე პირიც ადასტურებს, რომ 110 კილოვოლტიანი სარეაბილიტაციო ეგზ-ს სადენები და საყრდენები რეკონსტრუქციის შემდეგ შეიცვლება 220 კილოვოლტიანი ეგზ-ს სადენებით და საყრდენებით (იხ. 2018 წლის 16 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმი, გზშ-ს ანგარიში, ეგზ-ს საპროექტო დოკუმენტაცია, საქართველოს მთავრობას, სს "ელექტროსისტემას" და სს "დარიალი ენერჯის" შორის დადებული 2015 წლის 31 ივლისის ხელშეკრულება), რის გამოც 110 კილოვოლტიანი ეგზ "დარიალი" (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ფუნქციურად წარმოადგენს 220 კილოვოლტიან ეგზ-ს და შესაბამისად მეორე კატეგორიის და არა მესამე კატეგორიის ეგზ-ს თანახმად "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 15.11 მუხლის "ბ" ქვეპუნქტისა. აქედან გამომდინარე, კი სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლებამოსილება ჰქონდა არა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელს, არამედ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

## 2. პრეტენზია

სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სადავო ფაქტობრივი გარემოებები: - სადავო აქტით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "დარიალი"-ს მშენებლობა ხორციელდება, თუ რეკონსტრუქცია;



რეკონსტრუქციის შემთხვევაში რა სახის რეკონსტრუქციის უფლება იქნა მინიჭებული სადავო აქტით; რეკონსტრუქციის განხორციელების პირობებში რატომ გახდა საჭირო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა; რას გულისხმობს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩანაწერი - 220 კილოვოლტიან გაბარიტებში და რა მიზანს ემსახურება სადავო აქტში ამ ჩანაწერის არსებობა; სადავო ეგზ-ს მარშრუტის არარსებობის პირობებში, რამდენად არის კანონშესაბამისი ეგზ-ს რეკონსტრუქციის შესახებ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დაადგინა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სადავო ფაქტობრივი გარემოებები: - სადავო აქტით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზი "ღარიალი"-ს მშენებლობა ხორციელდება, თუ რეკონსტრუქცია; რეკონსტრუქციის შემთხვევაში რა სახის რეკონსტრუქციის უფლება იქნა მინიჭებული სადავო აქტით; რეკონსტრუქციის განხორციელების პირობებში რატომ გახდა საჭირო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა; რას გულისხმობს გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩანაწერი - 220 კილოვოლტიან გაბარიტებში და რა მიზანს ემსახურება სადავო აქტში ამ ჩანაწერის არსებობა; სადავო ეგზ-ს მარშრუტის არარსებობის პირობებში, რამდენად არის კანონშესაბამისი ეგზ-ს რეკონსტრუქციის შესახებ მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; რეკონსტრუქციის შემდეგ 110 კილოვოლტიანი ეგზ-ს (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) სადენების და საყრდენების 220 კილოვოლტიანი ეგზ-სთვის საჭირო სადენებით და საყრდენებით შეცვლის პირობებში აღნიშნული ეგზ ფუნქციურად რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს კვლავ 110 კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზს.

### 3. პრეტენზია

სააპელაციო პალატამ ასევე არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა თითქოსდა პაექრობის ეტაპზე მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება სადავოდ გაეხადა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის №161 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული გულისხმობს არა სარჩელის დაზუსტებას, არამედ სარჩელის გაზრდას.

დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ საერთოდ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა თითქოსდა პაექრობის ეტაპზე მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება სადავოდ გაეხადა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის №161 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული გულისხმობს არა სარჩელის დაზუსტებას, არამედ სარჩელის გაზრდას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 37.1 მუხლის თანახმად - მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად, გარდა 38-ე და 39-ე მუხლებით დადგენილი შემთხვევებისა, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე და იმ პირობებში, როდესაც წინამდებარე სარჩელის დავის საგანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 01 მარტის №91 მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა სამ სტადიად, სასამართლოს დასკვნა, რომ პირველი სტადიის დასრულების შემდეგ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მთავარ სხდომაზე არ წარმოადგენს სარჩელის დაზუსტებას და არის სარჩელის გაზრდა არასწორია, იურიდიულად დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგოა, რადგანაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 29 თებერვლის №161 ბრძანება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

## შუამდგომლობები

*შენიშვნა-17    შენიშვნა-18*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

# საჩივრის ფასი

შენიშვნა-19

არაქონებრივი ღარი

# სასელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-20

300 ლარი

## სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზღირსო ეროტიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ  არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ  არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი გაანგარიშება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).

5.

შპს/შპს-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ**  მორიგების პირობები:

**არა**  რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

### თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-24    შენიშვნა-25

დანართი 1: სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 1



## საკასაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

	დას	არა
1. მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8. მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9. საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10. საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11. საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12. საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13. საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია:	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული:		
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**  
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

<p>ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი: ნინო გუჯარაიძე</p> <p style="text-align: center;">ზაზა წიკლაური</p>	<p>25/06/2019წ.</p>
--	---------------------

საკასაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

როდესაც საკასაციო საჩივარი არ არის წარმოდგენილი ნაბეჭდი ფორმით). სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-26